პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 10 თებერვალი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 31 (719) 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა. ტელ. 2—24

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ქალაქ ტფილისის და მისი მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების გადასარჩევ ინსტრუქციის დამატებანი და ცვლილებანი.

(იხილ. გაზ. „კომუნისტი“ № 9, „ზარია ვოსტოკა“ № 776, „რაბოჩაია პრავდა“ № 555, და „მუშა“ № 644.

1) §§ 3, 4, 5, 6, 7, 8, და 9 ს შესაცვლელად მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოში წესდება შემდეგი ნორმა წარმომადგენლობისა: ყოველ 200 ამომრჩეველზე—ერთი დეპუტატი. ინსტრუქციის მე-3 § ს 1, 2, და 3 შენიშვნები რჩება ძალაში.

2) არჩევნები გაუქმებულ იქნება შემდეგი შემთხვევებში:

ა) როდესაც არჩევნებზე გამოცხადდება 35 პროც. ნაკლები ამომრჩეველთა რიცხვისა.

ბ) როდესაც მოქალაქეთაგან შემოდის საჩივარი არჩევნების ხელმძღვანელ ორგანოებსა და დაწესებულებებზე (საარჩევნო კომისიებზე და სხვა.).

3) მუშათა პროფესიონალურ გაერთიანებიდან შედის დამატებითად სამაზრო საქალაქო საარჩევნო კომისიაში ორი და სარაიონო კომისიებში კი—თითო წარმომადგენელი.

4) საარჩევნო კრებების მოწვევა ხდება საარჩევნო კომისიისა ან მისი რწმუნებულების მიერ, მცხოვრებთა ხუთი დღით ადრე გაფრთხილებით არჩევნების დანიშვნის და კრების მოწვევის დღის შესახებ.

5) საარჩევნო კომისიებს და მათ რწმუნებულებს არა აქვთ უფლება თავიანთ მხრივ წარმოადგინონ ამომრჩეველზე ცალკე კანდიდატები ან საკანდიდატო სიები.

**ტფილისის საბჭოს თავმჯდომარე სუხიშვილი.**

**მდივანი მესხი.**

## ამხ. უნშლიხტი

**საბჭოთა კავშირის სამხედრო საზღვაო სახალხო კომისარის და სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა.**

საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა დაინიშნოს საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს წევრი ამხ. უნშლიხტი სამხედრო-საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრისა და კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

## ამხ. ტარატუტას მოხსენება საფრანგეთის მდგომარეობის შესახებ.

## საფრანგეთის მრეწველობა იზრდება-გაზარი კი არ აქვს.

**მტკიცდება კარგი განწყობილება საბჭოთა კავშირთან.**

7 თებერვალს საქმიან კლუბში საფრანგეთში მოგზაურობის შესახებ მოხსენება გააკეთა საგარეო საქმეთა ბანკის თავმჯდომარე-ტარატუტამ. მან შემდეგნაირად დაახასიათა საფრანგეთის დღევანდელი მდგომარეობა:

„იმპერიალისტურმა ომებმა მუშა ხელის სიმცირე გამოიწვია საფრანგეთში. საფრანგეთი იძულებულია მიმართოს სხვა ქვეყნების მუშა ხელის შეყვანას თავის სამრეწველოებში. საფრანგეთი გაძლიერებით სწავლობს უცხოეთის ტეხნიკას და კულტურას. იზრდება ინტერესი სხვა ქვეყნების ლიტერატურასა და ხელოვნებისადმი.

მრეწველობა და მრეწველობის მუშათა მოთხოვნილება იზრდება. იზრდება გლეხების ლტოლვა სოფლიდან ქალაქისაკენ. საფრანგეთის გლეხობაში რევოლიუციონური სული ძლიერდება.

განგებ შექმნილი „კომუნისტური საფრთხე“ ჩქარა გაქრა. საფრანგეთში მრეწველობა გაიზარდა, მაგრამ მას ბაზრის უქონლობა საქმეს უჭირვებს. საფრანგეთი ეკონომიურად შევიწროებულია ინგლისისა და გერმანიის მიერ. ამ გარემოებამ კარგი პირობები შექმნა საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობის გარშემო.

საფრანგეთში მეტად დაინტერესებული არიან ვალების საკითხით. საფრანგეთის მოსახლეობის სხვა და სხვა წრეები აღნიშნავენ, რომ როგორც საფრანგეთი ჰფიქრობს გადაიხადოს ამერიკის ვალი 50 წლის განმავლობაში, ისევე საბჭოთა კავშირსაც შეუძლია გადაუხადოს საფრანგეთს ამავე ვადაში.

საფრანგეთის საქმიანი წრეების აზრით საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის დაახლოება ორივე ქვეყნის ხელსაყრელ პირობებში მოხდება“.

## მომავალი არჩევნების გარშემო სამხრეთ-სლავიაში.

### მთავრობა სცდილობს სისხლის ტბაზე ააგოს თავისი ტახტი.

**მოჰკლეს-12, დასჭრეს-40, სცემეს-400-ს და დააპატიმრეს 500 კაცამდე.**

სამხრეთ-სლავიაში ახლოვდება ახალი არჩევნები. მთავრობა აძლიერებს ტერორს. საარჩევნო კამპანიის განმავლობაში ბურჟუაზიულ ოპოზიციურ პარტიებს მოუკლეს 12 კაცი, მძიმედ დაჰრეს—40, სცემეს 400 კაცს და დააპატიმრეს 500—დი. მთავრობა ყოველ გვარ ზომებს მიმართავს და შეიარაღებული ჟანდარმერიის საშუალებით სცდილობს შეჰკრიბოს ხმის უმეტესობა.

## უსაფუძვლო ხმები.

### საბერძნეთის მთავრობა ჩვენ გვაბრალებს პატრიარქის გამევებას სტამბოლიდან.

### წმინდა მამამ ცოდვა რომ ჰქნას ის რა ჩვენი ბრალია.

**ჭკვიანად რომ ყოფილიყო—რას ერჩოდა ალია.**

როგორც ვიცით ამ დღეებში ოსმალეთის მთავრობამ გააძევა სტამბოლიდან საბერძნეთის პატრიარქი, როგორც სახელმწიფოსთვის მავნე პირი: მას უპოვნეს ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ...

## წიგნისა და ბიბლიოთეკის კამპანია.

დღეიდან პირველი დივიზიის ნაწილებში იწყება წიგნისა და ბიბლიოთეკის კამპანია.

წითელ არმიელთა პოლიტიკურად და კულტურულად აღზრდის საქმეში ნაწილის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მეტად საპატიო ადგილი უჭირავს. თუ რამდენად აქტიურად მუშაობს ბიბლიოთეკა-სამკითხველო ნაწილში, თუ რამდენათ ის უახლოვდება წითელ არმიელთა მასებს, იზიდავს მას თავისკენ და აყვარებს მას წიგნს, იმდენათ ის ხელს უწყობს წითელი-არმიელის გათვითცნობიერებას და კულტურულ აღზრდას.

ამიტომაც ბიბლიოთეკა და მისი მუშაკები ყოველთვის თავის მოწოდების სიმაღლეზე უნდა იყვნენ. არ კმარა მარტო წიგნების გაცემა და გაზეთების დაწყობა მაგიდაზე. ბიბლიოთეკარი აქტიური ხელმძღვანელი უნდა იყოს თავის მკითხველების. ის მუდამ უნდა სცდილობდეს, რომ უფრო გაალრმაოს მკითხველ—წითელ-არმიელების ინტერესი წიგნისადმი, გაზეთისადმი და შეაყვაროს იგი მას.

ბიბლიოთეკის მუშაკებმა უნდა ეცადონ, რათა „ურჩუნო თომებიც“ ე. ი. ისინი, ვინც გაურბიან ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, ასეთებიც გახდნენ ბიბლიოთეკის მუდმივ წევრად. ცხადია ყოველივე ამას ჩვენი ბიბმუშაკები მიაღწევენ მაშინ, თუ ისინი გამოიჩენენ სათანადო უნარს, ენერგიას და ბიბლიოთეკა – სამკითხველოს, როგორც გარეგნულად, ისე შიგნითა მუშაობის მხრივ დააყენებენ სათანადო სიმაღლეზე. დაწყებული კამპანიის პირველ ამოცანასაც ეს შეადგენს, მაგრამ ყოველივე ამის მიღწევა შეიძლება მაშინ, თუ მთელი ნაწილი ენერგიულად ჩაებმება ხსენებულ კამპანიაში. პარტიულ თუ საერთო ხასიათის კრებებზე უნდა დასმული იქნას საკითხი ბიბლიოთეკის და წიგნის მნიშვნელობის შესახებ და ფართედ გაშუქებული წითელ-არმიელებისათვის.

ჩვენმა ახალგაზრდა წითელ-არმიელმა დიდის ყურადღებით უნდა მოეპყრას ამ კამპანიას. წითელ-არმიელი ისეთივე პატივისცემით და სიყვარულით უნდა ეპყრობოდეს წიგნს, როგორც თავის თოფს. წიგნი მისი საუკეთესო მეგობარია, რომელიც ადიდებს მის გონებრივ ბარგს, აფართოვებს მის ცოდნას და განვითარებას.

წითელ-არმიელი ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მუდმივი წევრი უნდა იყოს. ის აგრეთვე მოვალეა ბიბლიოთეკისაკენ მიიზიდოს თავისი ამხანაგები და მათთაც შეაყვაროს წიგნების, გაზეთების, ჟურნალების და სხვა კითხვა.

ამიტომაც ხსენებული კამპანიის ნაყოფიერობაც დიდათ დამოკიდებულია იმისგან, თუ რამდენათ აქტიურ და მხურვალე მონაწილეობას მიიღებენ მასში ჩვენი წითელ-არმიელები. საერთო ძალღონით გავაუმჯობესოთ ჩვენი ბიბლიოთეკა-სამკითხველოები და გავხადოთ ისინი ცოდნისა და კულტურის ნამდვილ წყაროთ წითელ ყაზარმაში.

ყველამ წიგნისა და ბიბლიოთეკის ავტორიტეტის ამაღლების ფრონტზე!

## წითელ არმიის დღესასწაულისათვის.

ახლოვდება წითელი არმიის დღესასწაული. 23 თებერვალს შესრულდება შვიდი წელი, რაც საძირკველი ჩაეყარა მუშურ-გლეხურ არმიას. სხვებთან ერთად ჩვენი ჯარის ნაწილებიც დაიწყებენ ამ დღისათვის მზადებას. განსაკუთრებით უნდა ემზადონ ახალგაზრდა წითელ-არმიელები.

ამ დღეს მათ ყურადღება უნდა მიაქციონ ბევრ გარემოებებს. უპირველეს ყოვლისა არსებობის მეშვიდე წელზე საერთოდ წითელი ჯარი და კერძოდ ჩვენი ქართული ნაწილები ჯამს გაუკეთებენ თავის ნამუშევარს და მიღწევებს. თავისი რიგების განმტკიცების საქმეში წითელ ჯარმა ბევრი გააკეთა და მუშურ-გლეხური ხელისუფლებამაც დიდი დახმარება გაუწია მას. მაგრამ არსებული მიღწევებით წითელი არმია არ უნდა კმაყოფილდებოდეს. მისი უმთავრეს ამოცანას შეადგენს უფრო მეტად გააძლიეროს თავისი რიგები, უფრო მეტად ასწიონ თავისი საბრძოლო უნარი და უფრო მეტად დახელოვნებული იყოს სამხედრო საქმეში. ამას გვიკარნახებს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა. მსოფლიო იმპერიალისტები კვლავ თავდასხმებით ემუქრებიან საბჭოთა რესპუბლიკებს.

ამიტომაც ყოველგვარ ხიფათისათვის წითელი არმია მზად უნდა იყოს. აი მთავარი რასაც ყურადღება უნდა მიაქციონ შვიდი წლის თავზე ჩვენმა წითელ-არმიელებმა და მტკიცედ დაისახონ წითელი არმიის განმტკიცება და გამაგრება.

ამას ისინი მიაღწევენ მაშინ, თუ მეტის ენერგიით დაეწაფებიან სამხედრო საქმეს, თავისი მოქმედებით ხელს შეუწყობენ რევოლიუციონური დისციპლინის გაღრმავებას და მუყაითად მოჰკიდებენ ხელს პოლიტ და კულტურულ მეცადინეობას. ამასთანავე ერთად წითელ არმიელებმა კარგად უნდა შეითვისონ წითელი არმიის მდიდარი ისტორია. ახალგაზრდა წითელი მებრძოლი უნდა სწავლობდეს წითელი არმიის წარსულის ბრძოლების მაგალითებზე და ემზადებოდეს მომავალ გადამწყვეტ შეტაკებებისათვის დახავსებულ კაპიტალისტურ ქვეყანასთან.

აგრეთვე წითელი არმია, როგორც მუშების და გლეხების ინტერესების დამცველი შეიარაღებული ძალა—ყოველმხრივ ხელს უნდა უწყობდეს სოფლისა და ქალაქის კავშირის განმტკიცებას.

აი ყველაფერი ის რომელიც ყოველთვის შეადგენდა ძირითადს წითელ-არმიის მუშაობაში და რომელიც ძირითადი დარჩება მომავალშიც. ყოველთვის ამას ჩვენმა წითელ არმიელებმა ღრმად უნდა ჩაუკვირდენ არა თუ ეხლა წითელი არმიის მეშვიდე წელზე, არამედ ეს უნდა ახსოვდენ მათ ყოველ დღიურ მუშაობაში, ყოველივე ფეხის ნაბიჯზე.

—ე.

რობის საწინააღმდეგო საბუთები. ამ ამბის გარშემო საბერძნეთის მთავრობა ავრცელებს ყალბ ხმებს, რომ ვითომც ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა კავშირს.

საბერძნეთის მთავრობის გაზეთი სწერს: საბჭოთა კავშირი სცდილობს გამოიყენოს საბერძნეთ—ოსმალეთის განხეთქილება და მაზე ააშენოს მსოფლიო ომი და რევოლიუციაო. ინგლისი, რომელიც აწარმოებს ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ, არ მისცემს საბჭოთა კავშირს ამის საშუალებასო.

## რუმინეთის პატრიარქატი.

### კონკურენცია დაცლილ შტატზე.

რუმინეთის სინოდმა ერთხმად გადასწყვიტა გამოაცხადოს რუმინეთის მიტროპოლიტი პატრია რქადდა ამით გასწყვიტონ დამოკიდებულება სტამბოლის პატრიარქატთან.

## „გლეხთა პარტიის შევიწროება ძვირად დაგიჯდებათ".

ინგლისის პარლამენტის კომუნისტ დეპუტატმა საკლატვალამ გაუგზავნა სამხრეთ-სლავიის მთავრობის თავმჯდომარე—პაშიჩს შემდეგი დეპეშა:

„პაშიჩის პარტიის (სამხრეთ-სლავიის გლეხთა პარტია) დევნა ამცირებს თქვენს ქვეყანას ინგლისის მუშებისა და მილიონ ინდუს გლეხების თვალში.

ასეთი ნაბიჯი თქვენ ძვირად დაგიჯდებათ".

## ვითომდა ისიც მშრომელთა ინტერესებს იცავს.

### დახმარება თითო ჩაის კოვზით.

ლიუტერის მთავრობა სცდილობს დაამტკიცოს, რომ ახალი მთავრობა არ არის რეაქციონურიო. ლითონის გადასადნობი ღუმელებზე მომუშავეთათვის შემოღებულ იქნა სამი სამ-საათიანი ცვლა. ამას გარდა იმუშავებენ ახალ დადგენილებას უმუშევრების დახმარების გადიდებისთვის. დახმარების გადიდებას აპირობენ 25 პროც., რაიც სრულებით ვერ აკმაყოფილებს უმუშევართა მოთხოვნილებას.

## დეპუტატის ხელშეუხებლობა ჩეხო-სლოვაკიაში.

### ალბად ასე თუ ესმის დეპუტატის ხელშეუხებლობა ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას:

### „თუ დეპუტატს ხელით არ შეეხე, ისე რაც გინდა უყავი-ხელშეუხებლობა დაცულია".

ჩეხიის კომუნისტების ორგანო „რუდე პრავო" სწერს, რომ კარპატიის რუსეთში ხშირად აქვს ადგილი კომუნისტ დეპუტატების შეუხებლობის დარღვევასო: ამ დღეებში გაჩხრიკეს სენატორი ვოლნერი და დააპატიმრეს დეპუტატი მონდოკი.

## საბჭოთა კავშირში

### საბჭოების ხელახალი არჩევნები.

ბორჯომის რაიონში დამთავრდა საბჭოების არჩევნებია ექვს თემში არჩეულ იქნა 170 კაცი. მათ შორის არჩეულია 22 ქალი.

## გერმანიის უფლებათა საქმეების კომისიამ უარყო ამნისტია პოლიტპატიმართა შესახებ.

რეიხსტაგის უფლებათა საქმეების კომისიამ ხმის უმეტესობით კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ უარყო რეიხსტაგში შეტანილი ყველა რეზოლიუციები, რომლებიც ეხებოდენ პოლიტიკურ დამნაშავეთა ამნისტიას.

## საბჭოთა არჩევნების მიმდინარეობა.

**თელავის მაზრა.**

— **სოფელ შრომაში.** სოფ. შრომის სასოფლო საბჭოში არჩეულია 39 წევრი.

აქედან 10 კომუნისტია და 10 ქალი.

— **იყალთოში.** სოფელ იყალთოში აირჩიეს 33 დეპუტატი.

მათ შორის 10 კომუნისტია და 5 ქალი.

**ყარაჯალას** სასოფლო საბჭოში არჩეულია 16 წევრი.

მათ შორის 2 კომუნისტია და 3 ქალი.

**ოზურგეთის მაზრაში.**

ოზურგეთის მაზრაში საბჭოთა არჩევნების დამთავრება განზრახულია 20 თებერვლისათვის.

25 თებერვალს მოწვეულ იქნება სამაზრო ყრილობა.

## ნავთის ნაწარმოების გატანა.

### მრეწველობა ძლიერდება.

1925 წლის იანვრისთვის გატანილ ნავთის რაოდენობამ მიაღწია 5.400.000 ფუთამდე.

უმეტესობა გატანილ ნაწარმოებიდან მაზუთია.

უკანასკნელ დროს გაიზარდა ზეთის გაყიდვა.

ზეთი მიდის უმთავრესად ბელგიაში და გერმანიაში.

დადებულია ხელშეკრულება ინგლისთან, იტალიასთან და საბერძნეთთან მაზუთის მიწოდების საქმეში.

ამ წელში გადიდებული იქნება ნავთის გაზიდვა 68 მილიონ ფუთამდი, რაც უდრის ორჯერ მეტს გასულ წელთან შედარებით.

## ლენინური ხაზი და ამხ. ტროცკის ხაზი.

ამხ. ტროცკის ზემოაღნიშნულ შეხედულებათა წინააღმდეგ, ბოლშევიკური პარტია, ამხ. ლენინის მეთაურობით ამბობდა, რომ მუშათა კლასი ძალაუფლებას აიღებს ხელში გლეხობასთან შეკავშირებით, გლეხობის დახმარებით.

ამიტომ საჭირო არ არის მოუთმენლობა და „ხტუნვა". საჭიროა ყურადღებით და მოთმინებით აუხსნა და გააგებიო გლეხობას, რატომ უნდა წავიდენ ისინი ბრძოლაში მუშათა კლასთან ერთად და მისი ხელმძღვანელობით. თუ გლეხობა ამას ვერ მიხვდება, თუ ის მუშათა კლასს მხარს არ დაუჭერს, იმ შემთხვევაში მუშები დამარცხდებიან ცალკე. აგრეთვე გლეხობაც დამარცხდება ცალკე. ეს ასეც მოხდა 1905 წლ. პირველ რევოლიუციაში. ამხ. ტროცკის არ ესმოდა ყოველივე ეს სავსებით;

მაგრამ შეხედულებათა უფრო მეტი სხვა და სხვაობა მდგომარეობს იმაში, თუ როგორი ურთიერთობა უნდა ყოფილიყო მუშებსა და გლეხებს შორის ძალაუფლების მოპოების შემდეგ. ამხ. ტროცკის შეხედულება იყო ასეთი: რომ აღმშენებლობაში მუშათა კლასი და გლეხობა განშორდებიან, რომ მათი გზები სხვადასხვაა.

ამხ. ლენინი მუდამ ამტკიცებდა, რომ პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთელი ძალები და ყურადღება მიმართულ უნდა იქნას იქეთ, რათა თავიდან ავიშოროთ არა მარტო განხეთქილება, არამედ უმნიშვნელო ნაპრალიც კი მუშებისა და გლეხების კავშირში. ამხ. ლენინი გვასწავლიდა, რომ გლეხიც დაინტერესებულია სოციალიზმის იმ აღმშენებლობით, რომელსაც აწარმოებს მუშათა კლასი. ის ხელსაყრელია გლეხისთვისაც. საჭიროა მხოლოდ, რომ პარტია და მუშათა კლასი ყოველ ნაბიჯზე უმტკიცებდეს გლეხს თვალსაჩინოდ და მაგალითით ამ სარგებლობას: გლეხი არ უჯერის მარტო ლამაზ სიტყვებს და სწორედაც იქცევა რომ არ უჯერის.

და დღეს პარტია ატარებს დიდ მუშაობას სოფლად, რათა გაუმჯობესებულ იქნას საბჭოთა მუშაობა, მოგვარდეს გლეხობის დახმარების და საგადასახადო საქმე, სასოფლო სამეურნეო კოოპერაცია, ფასების შემცირება მრეწველობის საქონლებზე და სხვა.

ამ საკითხებს განიხილავს მოსკოვში მომავალი საბჭოთა საკავშირო ყრილობა.

მაგრამ, გვეტყვიან ზოგიერთები, განა ამხ. ტროცკი ყოველივე ამის წინააღმდეგია? ის ხომ ა. წ. იანვარში ცენტრალურ კომიტეტისადმი მიმართულ უკანასკნელ წერილშიც კი უარყოფს ამ ბრალდებებს.

ამიტომ საჭირო არ არის აჩქარება.

საჭიროა წინსვლა ისე, რომ გლეხობას ესმოდეს ყოველი ნაბიჯი. ასეთი წინსვლა ნელი იქნება, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერი და საიმედო. თუ ნახტომებით წავალ, მოსწყდები გლეხობას და უთუოდ დამარცხდები. მოგიხდება მაშინ უკან დაბრუნება და კიდევ უარესი— ყველაფრის თავიდან დაწყება. აქ როგორც ნათქვამია, ისე მოგივა: „თუ აჩქარდები-გამასხარავდები" და შუბლზე კოპებს დაისვამ. ამ ლენინურ ხაზს პარტია მტკიცედ ატარებს მუდამ.

სწორედ იმიტომ, რომ ცოტათი შეგვესვენებია გლეხობა და შემდეგ კი მასთან ერთად დაგვეწყო ბრძოლა, დადებულ იქნა ბრესტის არა ხელ აყრელი ხელშეკრულება. ეს არ ესმოდა ამხ. ტროცკის.

სწორედ იმიტომ, რათა მჭიდროდ შევკავშირებოდით გლეხობას, პარტიამ 1921 წელს შესცვალა საგადასახადო წესი და მას შემდეგ ატარებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. მაგრამ ტროცკისთვის რომ დაგვეჯერებია 1920 წლის დასასრულს, როცა ის გვედავებოდა პროფკავშირების შესახებ, იმ შემთხვევაში ჩვენ უფრო გავაღრმავებდით განხეთქილებას გლეხობასთან.

პირველ ყოვლისა იმისთვის, რათა გაგვემტკიცებია გლეხობის სამეურნეო მდგომარეობა და უკეთ შეგვეკავშირებია მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, შემოღებულ იქნა მტკიცე ფული 1924 წლის გაზაფხულზე. მაგრამ ამხ. ტროცკისათვის რომ დაგვეჯერებია 1923 წლის შემოდგომაზე და გვეწერა კარგი, მაგრამ ქაღალდის გეგმები, ეს გეგმები ვერაფერ კარგს ვერ მოგვიტანდა და მდგომარეობას ვერ შეამსუბუქებდა.

მაგრამ სიტყვა სხვაა — საქმე სხვაა. წინა წერილებში ვამბობდით: როცა ამხ. ტროცკი მიდის პარტიასთან ერთად ლენინის გზით, ის თავის სიტყვებში და წერილებში მუშებისა და გლეხების კავშირზე იმასვე ლაპარაკობს, რასაც-პარტია. მაგრამ ყოველთვის, როცა ამხ. ტროცკი მიდის თავის გზით, როცა ის არ ეთანხმება პარტიას, ის სცდება.

და სცდება ერთსა და იმავე საკითხში—გლეხობის შესახებ. რომ მისი შეცდომები გატარებულიყო ცხოვრებაში, აუცილებლად წააჩხუბებდა მუშათა კლასს გლეხობაზე. ჩვენ კი წერილის დასაწყისში უკვე დავინახეთ, რომ ამხ. ტროცკის თვალსაზრისით ასეთი განშორება გასაგებია და აუცილებელიც. მაშასადამე ეს განსაკუთრებით შემაფიქრებელი და საშიში არ არის.

სწორედ მუშათა და გლეხთა კავშირის ასეთი გაწყვეტისაგან გვაფრთხილებდა ჩვენ ამხ. ლენინი. იმიტომ რომ ამ კავშირის გაწყვეტაში იმალება დაღუპვა, როგორც მუშების, ისე გლეხებისათვისაც,

აი, ამხ. ტროცკის შეცდომების პირველი ფესვი.

**პარტიის მთლიანობა და ამხ. ტროცკის შეცდომები.**

წინა წერილებში ჩვენ დავინახეთ, რომ ლენინი სცდილობდა შეექმნა მთლიანი, მტკიცედ შეკავშირებული ბოლშევიკური პარტია. ბოლშევიკები არ აყენებდენ თავიანთ რიგებში მერყევებს და სწყვეტდენ კავშირს მასთან, ვინც კარგი სიტყვების ნიღაბ ქვეშ ეწეოდა მშრომელთა გამცემლობას.

ამხ. ტროცკი 1917 წლამდი არ ეთანხმება ასეთ პოლიტიკას. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ამხ. ტროცკიმ სცნო თავისი შეცდომა. მაგრამ უკანასკნელ წლებმა გვიჩვენეს, რომ ამხ. ტროცკი სინამდვილეში განაგრძობს ნაწილობრივ ძველ შეცდომას, როცა ის ამბობს, რომ შეიძლება პარტიაში არსებობდეს პარტიის წევრთა ჯგუფი, რომელიც არ ეთანხმებოდეს პარტიასო' 1920 წლის დასასრულს ამხ. ტროცკის ყავდა ჯგუფი, რომლითაც ის ებრძოდა პარტიას.

1923 წლის დეკემბერში, როცა ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. ტროცკისთან ერთად ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, ამხ. ტროცკი მეორე დღეს აქვეყნებს წერილს, რომელშიაც აკრიტიკებს კომიტეტის გადაწყვეტილებას.

1924 წლის მაისში პარტიის მე-13-ე ყრილობაზე ამხ. ტროცკი იძლევა სიტყვას, რომ დაემორჩილება პარტიას, ხოლო ნოემბერში აქვეყნებს წიგნს, რომელშიაც ილაშქრებს ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ხელმძღვანელთა უმეტესობის წინააღმდეგ.

რაშია აქ შეცდომა?

იმაში, რომ ამხ. ტროცკიმ ვერ გაითავისუფლა თავი ძველი შეხედულებისაგან, ვერ გაიგო ბოლომდი, რომ მთლიან ბოლშევიკურ პარტიაში არც ერთ წევრს დაწყებული რიგის პარტიის წევრიდან ხელმძღვანელამდი არ შეუძლია დაარღვიოს პარტიის გადაწყვეტილება.

აი, ამხ. ტროცკის შეცდომების მეორე ფესვი.

**დაამტკიცოს საქმით, რომ შეცდომები კიდევ არ იქნება.**

მაგრამ ტროცკი ცენტრალურ კომიტეტისადმი მიმართულ წერილში ხომ აცხადებს, რომ მზადაა დაემორჩილოს ყოველ გადაწყვეტილებას და შეასრულოს ყოველგვარი მუშაობა პარტიის კონტროლს ქვეშ.

კარგი. ეხლა ამხ. ტროცკიმ საქმით უნდა დაამტკიცოს თავისი სიტყვები, რომ იმუშავებს პარტიის მთლიანობის განმტკიცების საქმეში ლენინის მოძღვრების საფუძვლებზე.

მთელი პარტიისა და ქვეყნის წინაშე ამხ. ტროცკიმ საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ მან მტკიცედ შეითვისა და სავსებით მიიღებს ლენინურ ხაზს გლეხობის მიმართ.

ამას და მხოლოდ ამას მოითხოვს პარტია და უფლებაც აქვს მოითხოვოს.

ამხ. ტროცკიმ გააკეთა ბევრი სასარგებლო და დიდი საქმე.

ის ასეთ საქმეების გაკეთებას მომავალშიაც შესძლებს მხოლოდ ლენინის გზით, პარტიასთან ერთად, პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობით.

შეცდომები უნდა სწორდებოდეს მხოლოდ ბოლშევიკურ ლენინური გზით.

ს. კრუგლიკოვი.

„კრ. ვოინი".




## ფელთან კავშირი უფრო უნდა გაძლიერდეს.

ქართულ მეთაურთა სკო-
ს ყავს რამდენიმე საშეფო
ფელი; იგი სხვათაშორის
ფელ წყნეთის მცხოვრებთა
ლტურული შეფი არის. ეს
ფელი რაღაც 5 ვერსით
ქალაქზე დაშორებული,
რამ თავისი განათლებით
ფელი წყნეთი, ვფიქრობთ,
იან ბევრ სოფლებს ჩამორ-
ა. გარდა ერთი საბავშო
ლისა არავითარი კულტუ-
ლი წამოწყება არ არსებობს.
ფთიაქი, კოოპერატიული
ქანი და სამკითხველოც
ემდე მიკეტილი იყო...

მუშაობის გასაჩაღებლად პი-
ლად სკოლის კლუბის უფ-
სი და დრამ წრის ხელმძ-
ნელი ეწვიენ ამ სოფელს.
ათაშორის დაათვალიერეს
ები და სამკითხველო, რო-
შიაც სექტემბრის „კო-
ისტის“ 2 თუ 3 ნომერი
ოხდა სხვა არაფერი. ამ
ესვე მოწვეული იქმნა წყნ-
მოწინავე ამხანაგების კრე-
გამოირკვა რომ ამ სოფე
ი 3 თუ 4 პარტიის კანდი-
ტია, 5 კომკავშირელი და
ანჩენებს პარტიისა არაფე-
გაეგებათ რაო.

აქ არიან უპარტიო ინტე
იგენტები: სამი მასწავლებე-
ი, კლუბის უფროსი, აგარა-
ს გამგე და სხვა.

ყველა ესენი დაგვეთანხმენ კულტ-მუშაობის წარმოების აუცილებლობაში და სათანადო ზომებიც იქნა მიღებული.

კრებამ აირჩია: 1) პარტ-მუშაობის კომისია, 2) საკლუბო-საბიბლიოთეკო კომისია და 3) წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისია. სოფელ წყნეთის მცხოვრებთა თითქმის 95 პროცენტი უცოდინარია.

ქართულ მეთაურთა სკოლამ სოფ. წყნეთი უზრუნველჰყო გაზეთებით, მართავს ხშირად საუბრებსაც. გარდა ამისა—მეთაურთა სკოლამ ამ სოფლის კლუბში გამართა ორი საღამო-წარმოდგენა, 4 იანვარს და ლენინის გარდაცვალების წლის თავზე 22 იანვარს. ორივე საღამოს აუარება ხალხი დაესწრო.

ამ ჟამად სკოლა ემზადება, რომ საქართველოს გასაბჭოებისა და წითელი არმიის წლისთავი სოფელ წყნეთშიაც ჩაატაროს, რისთვისაც სოფელ წყნეთის ახალგაზდობამ და პარტ-მუშაკებმა მჭიდრო კავშირი უნდა დაიჭირონ სკოლასთან...

გაზაფხული ახლოვდება და მუშაობაც უფრო უნდა განაყოფიერდეს!! სოფელმაც უნდა გამოიღვიძოს!

ჩვენი.




რომლის თანამშრომლებად უმთავრესად წითელ-არმიელები ითვლებიან.

სოფლებთან დაახლოვებას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული. სოფ. ნოსირზე აღებული გვაქვს კულტურული შეფობა. გვაქვს დრამატიული წრე, რომელიც აპირებს სოფლად წარმოდგენების გამართვას. ადგილობრივ ხელისუფლებასთან და პარტიულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირში ვართ შესული, რაც ძლიერ გვიადვილებს მუშაობას.

პარტკორი ვ. ცქიტიშვილი.

## ჩვენი დაახლოვება.

8 თებერვალს ქართული
ენოსანი ლეგიონი ეწვია
რველ ლეგიონს ამხანაგების
ბარულს საზღვარი არ ქონ-
. ნაცნობი—ზოგიერთი სო-
იდან მოსული ამხანაგები
რიენ ერთმანეთში და გაი-
რთა ტკბილი საუბარი. სოფ-
ს ამბების გამოკითხვა და
ა...

შემდეგ გაიხსნა მიტინგი.
რველი მისასალმებელი სიტ-
თ გამოვიდა ქვეითა ლეგიო-
ს უფროსი და აღნიშნა თუ
მნიშვნელობა აქვს ჩვენი
წილების ასეთ დაახლოებას
თმანეთთან. სიტყვა სთქვა
ეორე ლეგიონის საკავში
კომისიის წარმომადგენელ-
ამხ. ანდღულაძემ. ამას მოჰ-
საპასუხო სიტყვები ცხე
ანი ლეგიონის ამხანაგები-

საგან.

მიტინგის შემდეგ დავათვალიერეთ ლეგიონის ყაზარმები, რამაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე. ეტყობა ჩვენი მოძმე ლეგიონი საქმიანად მუშაობს.

არც ერთი უარყოფითი მხარე მის მუშაობაში ჩვენ არ შეგვიმჩნევია.

ბოლოს დავემშვიდობეთ ამხანაგებს, რომლებმაც მუსიკით გამოგვაცილეს და ჩვენც სიმღერით გავუდექით ჩვენი ყაზარმებისაკენ.

ჩვენმა საკავშირო კომისიებმა თითქმის შესძლეს თავისი მოვალეობის ასრულება და იმედია შემდეგშიც ასე ენერგიულად გააგრძელებენ თავის საქმიანობას.

დ. ზეფრაშვილი.

## როგორ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ.

**პირველ ლეგიონის სამნეო გუნდში.**

ჩვენს გუნდში მწყობრად მიმდინარეობს ყოველგვარი მეცადინეობა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა პოლიტსაათების ჩატარებას. გუნდში ამ მიზნით არსებობს სამი ჯგუფი.

თითეულ მათგანს ყავს საკუთარი ხელმძღვანელი. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს და კარგ შედეგებსაც იძლევა, მაგრამ ერთი დეფექტი მაინც შესამჩნევი ხდება—ეს არის ტეხნიკურად მოუწყობლობა. მაგ. მეცადინეობა უნდა სწარმოებდეს კომპლექსიური მეთოდით, რაც აუცილებლად მოითხოვს რუქებს და სხვა საჭირო ნივთებს. ასეთები კი არ მოგვეპოვება და ხსენებული მეთოდით შეუძლებელი ხდება მეცადინეობა.

**ლენინის კუთხე.**

გუნდის ლენინის კუთხე კარგად არის მოწყობილი. წითელ არმიელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მის გამშვენიერებაში. ჟურნალ გაზეთების ხმამაღალი კითხვა თითქმის ყოველთვის სწარმოებს კუთხეში. კლუბი და ბიბლიოთეკა ხშირად გვაწვდის ლიტერატურას და ჟურნალ-გაზეთებს, ხოლო კლუბი კი ყოველთვის იძლევა მასალებს ამა თუ იმ კამპანიების ჩატარებისათვის.

**კომუჯრედი.**

გუნდში სულ მეათე თვე რაც კომუჯრედი არსებობს. ამ ჟამად კი ის გაერთიანებულია ცხენოსან მზვერავ—მწყობრის უჯრედთან. ღია კრებები ხშირად ეწყობა. ესწრებიან უპარტიო ამხანაგებიც. პარტიული დისციპლინა სამაგალითოდ არის დაცული ამხანაგებში. თითქმის ყველა უპარტიო წითელ-არმიელებს დიდი სურვილი აქვთ პარტიაში შესვლის.

**საკოლო მეცადინეობა.**

წერა-კითხვის უცოდინარებთან და მცირე მცოდნეებთან ყოველ დღიურად სწარმოებს მეცადინეობა. მასწავლებლები მუყაითად და ენერგიულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

სასწავლო ნივთებით გუნდი უზრუნველყოფილია, მხოლოდ საჭიროა ყურადღება მიექცეს ერთ გარემოებას. სამნეო ნაწილის უფროსი სწორედ იმ დროს გამოგვიგზავნის განკარგულებას, ფურგუნების გასამგზავრებლად, როდესაც მეცადინეობა მიმდინარეობს და ამის გამო ზოგიერთი ამხანაგები ვეღარ სარგებლობენ. ასეთი მდგომარეობა დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს.

**სანიტარული მდგომარეობა და სხვა.**

გუნდის ყაზარმებში ზედმიწევნით დაცულია სისუფთავე. ყოველ კვირაში გვიკითხავენ ლექციებს სანიტარიაზე. ყაზარმები საკმაოდ არ თბება. მართალია მნე ნორმის მიხედვით გვაწვდის შეშას მაგრამ არ გვყოფნის. საჭიროა მოგვიმეტებდენ. სხვა მხრივ ჩვენი გუნდის მდგომარეობ დამაკმაყოფილებელია.

ცხენები კარგად მოვლილი არიან. გვყავს ორი აქლემიც, რომლებსაც ჰამის მეტს ვერაფერს ვაკეთებინებთ. საჭიროა ცხენები მოგვცენ მათ მაგიერ, თორემ სრულიად გამოუსადეგარი არიან ისინი ჩვენთვის.

გუნდკორი.

## წრეები ამუშავდენ.

ქართულ მეთაურთა სკოლის პირველ ასეულში კურსანტთა ერთ ჯგუფის ინიციატივით დაარსდა თვითგანვითარების წრე. წრეში ჩაწერილია 16 კურსანტი. ხელმძღვანელათ იქმნა მიწვეული ამხ. ასომბლიძე. წრის წევრებმა თვით შეადგინეს მეცადინეო გეგმა. პირველ რიგში იქმნა დასმული საკითხი. ... დაწვრილებით შევისწავლა მუშათა მოძრაობის ისტორია დასავლეთ ევროპაში, შემდეგ-კი შევუდგომოდით მარქსიზმის და ლენინიზმის შესწავლას.

მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად კვირაში ... ჯელ, წრის წევრები დიდ მუყაითობას იჩენენ მეცადინეობისადმი, რასაც დიდი ნაყოფი და შედეგი მოაქვს კურსანტთა პოლიტიკურ დონის ასამაღლებლათ.

ნ. არჩუაშვილი.

## მოსპეთ წერა-კითხვის უცოდინარობა.

5-თე ლეგიონის მეორე ასეულში გაცხოველებული მუშაობაა. ადგილობრივი ხელის უფლება ძლიერ გვიწყობს ხელს ჩვენს საქმიანობაში. ამას გარდა ასეულს მშვენიერი შეფი ... გადმოსცა ალმასკომმა. ამნაირად ყაზარმები ყოველმხრივ გამოსადეგი გვაქვს.

სისუფთავის დაცვას დიდი ყურადღება ექცევა. სამკითხველო და ლენინის კუთხე სავსებით აკმაყოფილებენ ათასეულის მოთხოვნილებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ასეულმა უკვე შესძლო მოეხდინა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ათასეულში გამოდის კედლის გაზეთიც,

## პარტიული ცხოვრება.

### მომავალ პარტ-გადასინჯვის გამო.

**რომელი უჯრედები უნდა იქნენ გადასინჯული.**

როგორც ვიცით, ჩვენ გვაქვს ორი ტიპის უჯრედები. პირველია საწარმოო უჯრედები, მეორე ტიპის უჯრედებში კი შედიან არა საწარმოო დარგის მუშა-მოსამსახურეები, როგორც მაგალითად: უმაღლესი სასწავლებელის უჯრედი, სახელმწიფო სავაჭრო და კოოპერატივების უჯრედები, საკანცელარიო მუშაკთა უჯრედები და წითელ არმიაში კი პოლიტ-განყოფილების, შტაბის, სამხედრო მეთაურთა სკოლა, სამხედრო პარტ-სკოლა, სამხ. ტრიბუნალი, დივ. ლაზარეთი და სხვა. ერთი სიტყვით გადასინჯვა არ ეხება წითელ-არმიელთა უჯრედებს და სამოქალაქოში კი როგორც მუშების ისე სოფლის უჯრედებსაც.

ამავე დროს ხშირია შემთხვევა, როდესაც საწარმოო უჯრედებში ბლომათ მოიპოვებიან მიმაგრებული საბჭოთა მოსამსახურე კომუნისტები და ზოგიერთ ამხანაგებს გონიათ, რომ იმათ არ ეხება გადასინჯვა, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ამის შესახებ სათანადო ინსტრუქციაა გამომუშავებული, სადაც გარკვეულათ არის ნათქვამი, რომ მიმაგრებული საბჭოთა მოსამსახურე კომუნისტს, გამწმენდი კომისია თავის უწყების უჯრედთან ერთად გადასინჯავს. ამავე დროს არის ისეთი შემთხვევა, როდესაც არა საწარმოო უჯრედებში ირიცხებიან არა ინტელიგენტები ე.ი. შიკრიკები, დარაჯები, ღამის ყარაულები და სხვანი. ესენი რასაკვირველია გაივლიან გადასინჯვას, მაგრამ აქ კომისია ყოველთვის მხედველობაში იღებს გადასასინჯავ ამხანაგის სოციალურ მდგომარეობას. არ შეიძლება ერთი პირობები შეიქნეს ღამის ყარაულის და კოოპერატივის გამგეობის წევრთა ან ბუღალტერისათვის.

ერთი სიტყვით ასეთ შემთხვევაში გამწმენდი კომისია კითხვას უდგება კომუნისტურათ და ისე სწყვეტს მას. აქვე უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი ამხანაგების პირადი შეკითხვები, პოლიტიკურ გამოცდის შესახებ. მართალია, ინსტრუქციაში არ არის გათვალისწინებული ეს საკითხები, მაგრამ კომისიას აქვს იმის უფლება, რომ თუ მან დაინახა საჭიროთ, ამა თუ იმ პირის პოლიტიკური მომზადების გაგება, მას, ეს მოეთხოვოს.

ეს კითხვა პირდაპირ, რომ შეეტანათ ინსტრუქციაში, ჩემი აზრით უფრო უკეთესი იქნებოდა, რადგანაც ამხანაგები უფრო დაეწაფებოდენ თვით განვითარებას. (როგორც ამას ქონდა ადგილი მოსკოვში და სხვაგან) მაგრამ უამისოთაც ყველა პარტიის წევრმა უნდა იცოდეს, რომ თუ პარტიის წევრათ ირიცხება მან უნდა იცოდეს და იცნობდეს პარტიას, მის წარსულს და მომავალს, რასაკვირველია თანახმათ მისი ცოდნისა და მდგომარეობისა.

ს. ლომიძე.

## ახალი ძალები.

**ლენინის კვირეულის გამო.**

ოც იანვარს შესდგა მესამე ლეგიონის პარტამხანაგების კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა წითელ-არმიელი ამხ. წიკლაური.

დღევანდელ კრებაზე უნდა მომხდარიყო პარტიის რიგებისათვის ახალი ძალების შემატება, ლენინის ხელ მეორედ გაწვევა მისი გარდაცვალების ერთი წლის თავზე.

პირველად კრებამ მოისმინა სიტყვა ლენინის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის შესრულების გამო. აქ გარკვევით იქნა დახასიათებული ლენინის მოღვაწეობა და პარტიის ნაბიჯები მის გარდაცვალების შემდეგ. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ძვირფასი ბელადის ხსოვნას და შესრულებულ იქნა სამგლოვიარო ჰიმნი.

შემდეგ კრების თავმჯდომარემ გამოაცხადა იმ ამხანაგების სია, რომლებიც მიღებულ იქნენ პარტიის რიგებში. სულ პარტიაში მიღებულ იქნა 23 კაცი. ამათგან 13 წითელ-არმიელებია, 8 წითელი მეთაური და 2 ძველი მეთაური. ამის შემდეგ მისალმებით გამოვიდენ ამხ. თავართქილაძე და გეგია, რომლებმაც მოუწოდეს ამხანაგებს ენერგიული და ერთგული მუშაობისაკენ. მიმდინარე საკითხებში შემოვიდა წითელ-არმიელების შეკითხვები, თუ როდის მოხდება კიდევ ლენინის გაწვევაო. ამხ. შავლაძემ ყველა დააკმაყოფილა თავის პასუხში და კრება დაიხურა ინტერნაციონალის სიმღერით.

პარტკორი ა. ჭკადუა.

## ახკომკავშირელთა შორის.

**პოლიტიკური სკოლის ახკომკავშირელთა ცხოვრებიდან.**

უკვე მეოთხე თვე სრულდება მას შემდეგ, რაც სამხედრო პოლიტიკურ სკოლაში ჩამოყალიბდა ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედი და შეუდგა მუშაობის წარმოებას.

უჯრედი აერთიანებს 28 წევრს, რომელთა შორის არიან პარტიის წევრები და კანდიდატებიც. წესდების თანახმად ჩვენთან მუშაობენ ეს ამხანაგები.

დაარსების პირველი დღიდანვე უჯრედმა მიზნათ დაისახა, რომ უჯრედის თითეულ წევრს აქტიური მონაწილეობა მიეღო მუშაობაში. ამხანაგებს ხშირად ევალებათ მოხსენებების გაკეთება სხვა და სხვა მნიშვნელოვან თემებზე. მეორე მხრივ უჯრედმა მჭიდრო კავშირი დაიკავა, როგორც სამოქალაქო, ისე კავშირის სამხედრო ორგანიზაციებთან.

ამ ჟამად კავშირში ვართ მეთაურთა სკოლასთან, ცენტრალურ პარტსკოლასთან და მესამე რაიონულ კომიტეტთან. ყველა დასახელებულ ორგანიზაციებთან მიმაგრებული არიან ამხანაგები, რომლებიც ეცნობიან მათ მუშაობას და თავის მხრივ ჩვენი საქმიანობას კურსშიდაც აყენებენ.

მესამე რაიკომში მათი მოთხოვნისამებრ ჩვენმა უჯრედმა გადაგზავნა სამი მომზადებული ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ სხვა და სხვა უჯრედებს.

მთელი ამ ხნის განმავლობაში უჯრედს ორჯერ ჰქონდა კრება, ბიუროს კი ხუთჯერ, სადაც გარჩეული იქნა სხვა და სხვა საჭირბოროტო საკითხები ახკომკავშირის ცხოვრებიდან.

უახლოესი ჩვენი მიზანი კი—ლენინიზმის, ახკომკავშირის ისტორიის შესწავლა და მისი ამოცანების გაცნობაა.

უჯრედს განზრახული აქვს აგრეთვე დრამატიული დასის ჩამოყალიბება, რომელიც ხშირად გამართავს წარმოდგენებს სხვა და სხვა სამხედრო ნაწილებისა და სამოქალაქო—მუშათა კლუბებში.

ახკორი ნ. თავართქილაძე.

# სამნეო დარგის საკითხები.

## მომარაგების ტაქტიკა.

თვითეულმა სამნეო მუშაკმა უნდა კარგათ შეიგნოს მომარაგების ტაქტიკა, რომელიც გვასწავლის:

1) ჯარის ნაწილების განუწყვეტლივ კმაყოფის წარმოების დროს, მომარაგების საშუალებების და მოძრაობის მორიგ ოპერაციის მოწყობას და

2) ყოველგვარ კმაყოფის საგნების გადაზიდ-გადმოზიდვის ხელოვნურად მოგვარების კომბინაციას და ამასთანავე, საჭიროებისამებრ, — მომარაგების სამმართველოს დაწესებულებების საწყობებიდან კმაყოფის საგნების გადმოტანას და ადგილობრივ მათ შეძენას, რათა, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში დახარჯონ ჯარის ნაწილებმა თავიანთ საზიდავებზე მყოფი სურსათ-სანოვაგე.

ეს ამოცანა შესაძლებელია გართულდეს, თუ რომ თავის დროზე გეგმით არ იყო მიღებული მხედველობაში ყველა ობიექტიური პირობები.

განსაკუთრებით უნდა მოველოდეთ მომარაგების საქმის გართულებას მაშინ, როდესაც ომი სწარმოებს მთიან ადგილებში და საჭიროა მანევრობა ღამით.

ამნაირ მოქმედების დროს, გაჭივრებანი ბლომადაა, ყველა ამას არ ჩამოვთვლით, მაგრამ ვიტყვი კი, რომ ყველა შესაძლებელი გაჭირვებების გათვალისწინება სხვა და სხვა ბრძანებებით და ცირკულიარებით „ზევიდან“, — შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა ჩვენ თვითონ წინდაწინვე, დროით მოფიქრებული მომზადებით, ან სხვა და სხვა ვარიანტის გეგმების შედგენით, ან მშვიდობიან დროს მომავალი ომისთვის სამზადისით, გავითვალისწინოთ მოულოდნელი გაჭირვებანი.

ნათქვამიდან უკვე ცხადია, რომ არც ერთი სამნეო მუშაკი არ უნდა იყოს მომწყვდეული, მარტო მშვიდობიან დროს, თავის მუშაობის ვიწრო შაბლონიურ ფარგლებში.

**საჭიროა აქტიური მონაწილეობის მიღება სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში.**

სამხ. სამეცნ. საზოგადოება არსებობს ყველა ჯარის ნაწილებში და აგრეთვე სწარმოებს მეცადინეობა დივიზიის და გარნიზონის მასშტაბითაც.

იღებენ კი მონაწილეობას ამ სამხ. სამეცნ. საზოგადოებაში ჩვენი სამნეო მუშაკნი? არა. რატომ? უეჭველად მიპასუხებენ: „არა გვაქვს თავისუფალი დრო“-ო. ერთი მხრით ეს მართალია, მაგრამ სავსებით კი არა.

ამისთვის ბევრი დრო არ უნდა, საჭიროა მხოლოდ საქმისადმი სიყვარული და მეტი ინტერესის გამოჩენა. საუბედუროდ ჩვენს სამნეო მუშაკებს ეს სიყვარული და ინტერესი თავისი თავის განვითარების და ომისთვის მომზადებისა არა აქვთ.

ამ საკითხზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს ყველა სამნეო მუშაკი და ძალდაუტანებლივ ზევიდან, მიიღოს აქტიური მონაწილეობა სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების მუშაობაში და ამით მოემზადოს, ის თანახმად მორიგ მწყობრ ტაქტიკურ ამოცანისა, მომარაგების გეგმის შემუშავებისათვის.

ს. შაკუნი.

# ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში.

შემოტანილი აქვთ განცხადება ა. ლ. კ. კ. წევრების პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ ქვემო აღნიშნულ ამხანაგებს:

1) შაუთიძე პეტრე ეფრემის-ძე ა. ლ. კ. კ. წევრი 1923 წ.

2) გიგნაძე ვლადიმერ მიხეილის-ძე ა. ლ. კ. კ. წ. 1920 წ.

3) კამკამიძე მიშა კონსტანტინე-სძე ა. ლ. კ. კ. წ. 1923 წ.

4) ბლუაშვილი გრიგოლი პავლეს-ძე ა. ლ. კ. კ. წ. 1921 წ.

ზემო ჩამოთვლილ ამხანაგების შესახებ, თუ ვისმეს მოეპოვება რაიმე საწინააღმდეგო მათი პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ, ან წერილობით ან და სიტყვიერათ, ერთი კვირის განმავლობაში (მისამართი 1-ლ ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედში).

ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის კომუჯრედის მდივანი ს. ჯავახოვი.

# ამბები სოფლებიდან

**დას ხიჩრე ულთა არტელი.**

სამტრედიაში არსდება დასახიჩრებულთა კოოპერატიული არტელი.

**ხელოსანთა გაერთიანება.**

დასავლეთ საქართველოს ხელოსანთა კონფერენციამ აირჩია „დასავლეთ საქ. ხელოსანთა ცენტრალური კომიტეტი“ რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ყველა ხელოსანთა ორგანიზაციებს.

**კოლოფების სახელოსნო ქუთაისში.**

ქუთაისის კოლოფების სახელოსნოში ამჟამად მუშაობს 19 ქალ-ვაჟი. სახელოსნო შეკვეთებს ღებულობს დასავლეთ საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებიდან.

**შეფობის მიღება.**

აჭარის სახ. კომ საბჭომ მიიღო ბათომელ ახალგაზრდა ლენინელთა პირველი კოლექტივის შეფობა.

**ტელეფონი სოფლად.**

ფოსტა-ტელეგრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა, სოფლათ ტელეფონის ქსელის მოსაწყობათ გადასდოს არსებული ქსელის შესაკეთებელ თანხიდან მეოთხედი.

**მანქანების გამოწერა.**

ამ. კავკ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა საზღვარ გარეთიდან გამოიწერა 10 ცალი ძლიერი ძალის მქონე საცეხვი მანქანები.

**ბამბის საჩვენებელი პლანტაციები.**

მიწ.-მოქ. კომისარიატის სას— სამ. განყოფილებამ გადასწყვიტა საქართველოს სხვა და სხვა სოფლებში მოაწყოს ბამბის საჩვენებელი პლანტაციები.

# ახალი ამბები.

— **„წიგნისაკენ“.** დღეიდან სამხედრო ნაწილებში იწყება კომპანია „წიგნის დაახლოება მასასთან“. აღნიშნული კომპანიის მიზანია წიგნი გახადოს ყველასათვის ხელმისაწვდომ საგნათ. კომპანია გაგრძელდება 3 თვე.

— **საღამოს გადადება.** სამხედრო მეთაურთა სკოლაში, დღეისათვის დანიშნული შერიული საღამო გადადებულია შემდეგისათვის.

— **გლეხკომების რიცხვი.** 1924 წლის განმავლობაში აზერბეიჯანში დაარსებული ყოფილა 507 გლეხკომი, ხოლო საქართველოში 1377 გლეხკომი.

— **ტფილისის წყალსადენისათვის.** გასულ წელს ტფილისის წყალსადენისათვის შეძენილი ყოფილა 16.000 მანეთის წყალსადენი მილები.

— **ტრამვაის მუშათა უბანში.** ლენინის მუშათა რაიონში (ნაძალადევი) ტრამვაით მიმოსვლა გაიაფდა. პირდაპირ ღირს 5 კ., ხოლო არა პირდაპირ 3 კაპ.

— **ბინების აგება მუშებისათვის.** ცენტრ. საალმშენებლო კოოპერატივმა გადასწყვიტა ავოს ბინები შემდეგ ახალშენებში 1. ლენინის—8 ბინა, 2. მარქსის—16 ბინა, 3. ორჯონიკიძის—10 ბინა, 4. მ. ცხაკაიას უბანში—22 და ტროცკის სახელობის უბანში 44 ბინა.

— **სნეულებათა შესასწავლათ.** სოც. დაზღვევის სამმართველომ სახელმწიფო უნივერსიტეტს მისცა 500 მანეთი პროფესიონალურ სნეულებათა შესასწავლ მუშაობის საწარმოებლათ.

— **დახმარება თოვლით დაზარალებულებს.** მიწად-მოქ. კომისარიატის ცნობით, დიდი თოვლის გამო დაზარალებულ საქართველოს სოფლის მეურნეებს უნდა მიეცეს 200 ათასი ფუთი სათესლე, 15 ათასი სული მუშა საქონელი და ნახევარი მილიონი ფუთი საკვები.

— **სარწყავი არხები.** მთაწმინდაზე შეუდგენ მოსარწყავი არხების გაყვანას, რაიც ხელს შეუწყობს იქ ტყის მოშენებას.

# მეცნიერება და ტეხნიკა.

## უცნაური ავადმყოფობა („გაფიური ავადმყოფობა“.)

ამ უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში რაღაც უცნაურმა ავადმყოფობამ იჩინა თავი აღმოსავლეთის პრუსიაში (გერმანია) და ძლიერ სწრაფად ვრცელდება. ავადმყოფობა პირველად ბალტიის ზღვის ე. წ. გაფის ყურეში დაიწყო და აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდებაც: „გაფიური ავადმყოფობა“.

ავადმყოფობამ განსაკუთრებით ფეხი მოიკიდა მეთევზეთშორის. მისი პირველი ნიშნები ასეთია: კაცს ემართება უეცრად, პირველად საშინლად ასტკივდება ფეხები და ხელები, შემდეგ გრძნობს მეტის მეტ დაღლილობას და სრულიად უღონდება მთელი სხეული, ეკუმშება ფეხების და ხელების კუნთები და ბოლოს სრულიად ვეღარ ამოძრავებს მათ. ამნაირი მდგომარეობაც უეცრად დგება და ადამიანს ეკარგება მოძრაობის უნარი—ადგილიდან ვეღარ იძვრის.

კუნთების შეკუმშვა სწრაფად უვლის ავადმყოფს, მაგრამ ამის შემდეგ დგება სხვა ჯვარი ტანჯვის წუთები: თავის წელის და სხეულის ყველა კიდურების ტკივილი, გულის რევა და რწყევა. უმეტეს შემთხვევაში ეს მოვლენებიც ჩქარა უვლიდენ ავადმყოფს, მაგრამ იყო ისეთი შემთხვევებიც, რომ 2 და 3 კვირის განმავლობაში სტანჯავდენ ისინი ავადმყოფს?

რამოდენიმე კვირის განმავლობაში ეს ავადმყოფობა ეპიდემიურად [illegible] მოედვა გაფის ყურის მიდამოებში დასახლებულ სოფლებს. მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურად შეუდგენ ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზების გამორკვევის—ის გაუგებარი დარჩა—ავამყოფობის წარმოშობი მიზეზები ვერ აღმოაჩინეს.

**საჰაერო საბარგო ჰაეროპლანი.**

პირველი უდიდესი საბარგო ჰაეროპლანი დამზადებული იქნა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჰაეროპლანის პირველი გამოცდა ძლიერ კარგად დამთავრდა. მან ნახევარი საათის განმავლობაში დაჰყო ჰაერში სრული ტვირთით. 10 წუთს განმავლობაში ავიდა 4.200 ფუტის სიმაღლეზე.

ამ უზარმაზარი ჰაეროპლანს აქვს ორი დიდი მატორი-„ატლანტიკის“ ტიპის, რომლებიც სპეციალურად ამ მიზნით იქნენ დამზადებული ინგლისში. თითეული მათგანი ანვითარებს 550 ცხენის ძალას და ჰაეროპლანს აძლევენ 100-110 მილის სიჩქარეს საათში. მისი ფრთები გამხრობა უდრის 8[illegible] ფუტს. ასეთივე უზარმაზარი სიგრძის ფრთებიანი-ყუმბარა გადამზიდავი ჰაეროპლანი იქნა ამერიკაში დამზადებული რამოდენიმე ხნის წინად.

ამ ჰაერის გოლიათის წონა უდრის 5 ტონს (ტონში 6[illegible] ფუთი) მფრინავების და საჭ[illegible] ვავ მასალის მარაგითურთ [illegible] 6 ტონს. მას შეუძლია [illegible] გარდა წაიღოს სამი ტონა ბარგი ან და 400 კაცი სხვა ნაირად, რომ ჰაეროპლანს შეიძლება გადატვირთული იქნეს ჩვეულებრივი ტიპის ორი დატვირთული ავტომობილი.

**აპარატი, რომელიც არ ხმაურობს ფრენის დროს.**

ამ ჟამად ძალიან ბევრს მუშაობენ, იმის გარშემო, რომ როგორმე მოსპონ ჰაეროპლანში ხმაური ფრენის დროს. თავის თავად ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ არ გამოიწვევდეს აპარატის ძალის შეერთებას, რაც ასეღაც ხდება. აქამდე წარმოებულმა ცდებმა მართალია მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს. ამ მიმართულებით-საგრძნობლად შემცირებული იქნა ჰაეროპლანზე დამაყრუებელი ხმაური, მაგრამ სამაგიეროდ მოაკლო მოტორების ძალამ, [illegible] კი მძიმე აჰეროპლანებისათვის არ არის გამოსადეგი. უმთავრესი ყურადღება ეხლა ექცევა, იმას, რომ რაც შეიძლება მეტი სიძლიერე ახასიათებდეს აპარატს და თუ ამის ანგარიშზე იქნება შესაძლებელი მისი ხმაურის მოსპობა, მარნცა [illegible] მაინც ის არ იქნება მისაღები.

# ჩვენი ფოსტა

**ამხ. მაღლაკელიძეს.** (1-ლ) შემოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. შორელს.** თქვენი კორესპონდენცია „მადლობის [illegible]რსია“ არ დაიბეჭდება.

პასუხის-მგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

# 1-ლ ქ. მ. დ. სამხ. პოლიტ. სკოლ[ის] კომუჯრედის პრეზიდიუმისაგა[ნ]

კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტ[იის] კანდიდატობიდან წევრათ გადარიცხვის შესახებ შემდეგ ამ[ხა]ნაგებს:

1) მახარაძე ადამი კონსტანტინეს-ძე

2) არაქელოვი ვასილი გრიგორის-ძე

3) ცერცვაძე ილია გრიგორის-ძე

4) ბაქრაძე მიხეილ სიმონის-ძე

და ა. ლ. კ.კ. წევრობიდან კ. პ. კანდიდატად გადარიცხ[ვის] შესახებ 1) მეზვრიშვილი პეტრე სიკოსძე

1-ლ ქ. მ. დ. სამხ. პოლიტ. სკოლის კომუჯრედის პრეზიდიუმი გთხოვთ თუ ვინმემ იცით აღნიშნულ ამხანაგ[ების] უარყოფითი მხარე პარტიაში მიღების შესახებ, გვაცნობ[ეთ] კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში (ავლაბარი 1 ქარ. ლეგიონის ყაზარმა.)

კომუჯრედის პას. მგებ. მდივანი ი. ლოგავა

# კლუბის და ბიბლიოთ. მომუშავეთა საყ[უ]რადღებოთ.

კომბინიური საღამო, რომელიც უნდა გამართულ[იყო] სამშაბათს 10 თებერვალს საღამოს 7 საათზე შეერთებ[ულ] კურსანტთა სკოლაში არ შესდგება სხვა და სხვა საპა[ტიო] მიზეზების გამო.

ინსტრ. ტ. წვენიევი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8. ტირაჟი 1000.